სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

74452377117319

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190350002

რეგისტრაციის თარიღი

01.04.2019 წ

ნოტარიუსი: ნარგიზა ჯანხოთელი
მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 18
ტელეფონი: 032 2 990506

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

ქალაქი თბილისი, ორი ათას ცხრამეტი წლის პირველი აპრილი. მე, საქართველოს ნოტარიუს ნარგიზა ჯანხოთელს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: თბილისი, რუსთაველის 18, მომმართა **შპს "მონოლით გრუპ"-ის** (რეგისტრირებული 20.10.2015 წელს, იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაკის რაიონი, შატბერაშვილის ქუჩა № 5(3), ს/კ: 405121158) დირექტორმა **აბდულ აბდულაევმა** (დაბადებული 16.12.1963 წელს, პ/ნ: 01391009318, მცხოვრები თბილისში, ო.ონიაშვილის ქუჩა № 14, ფართი 1). მან განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს **ირაკლი ლაზარიაშვილს** (დაბადებული 29.12.1972 წელს, პ/ნ: 01026017338), შპს "მონოლით გრუპ"-ის საქმეების წარმოებაზე. მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით. ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. უფლებამოსილება დავამოწმე ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: **B18144828**. შემდეგ შედგა მინდობილობის ტექსტი ქართულ და რუსულ ენებზე. მე – ნოტარიუსმა მიმნდობს განვუმარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები და წავუკითხე ხმამაღლა. მინდობილობის შედგენაში მონაწილეობა მიიღო მიმნდობის მიერ არჩეულმა მთარგმნელმა – ნინო ტოგონიძემ, დაბადებულმა 28.05.1976 წელს, მცხოვრებმა თბილისში, ე.ვერჰარნის 20, პირადი ნომერი: 01030027918. მან შეასრულა მინდობილობის თარგმანი რუსულ ენაზე პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ. მთარგმნელმა განაცხადა, რომ იცის შესაბამისი ენა და იძლევა თარგმნის სისწორის გარანტიას, ხოლო მიმნდობმა განაცხადა, რომ ენდობა მთარგმნელის კომპეტენციას. მე – ნოტარიუსმა მთარგმნელი და მიმნდობი გავაფრთხილე არასწორი თარგმანისა და თარჯიმნობის გამომრიცხავი გარემოებების სამართლებრივი შედეგების შესახებ. მიმნდობმა და მთარგმნელმა დაადასტურეს, რომ არ არსებობს თარჯიმნობის გამომრიცხავი რაიმე გარემოება. მიმნდობმა თავადაც წაიკითხა მინდობილობა მისთვის გასაგებ რუსულ ენაზე, განაცხადა, რომ მინდობილობის ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც პირადად, ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა შემდეგი სახის დოკუმენტს.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

დღეს, ორი ათას ცხრამეტი წლის პირველ აპრილს მე, **შპს "მონოლით გრუპ"-ის (ს/კ: 405121158)** დირექტორი **აბდულ აბდულაევ** (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში „მიმნდობი", უფლებამოსილებას ვანიჭებ **ირაკლი ლაზარიაშვილს** (რეკვიზიტები მითითებულია ზევით), შემდგომში „მინდობილს", მასზედ, რომ მან წარმოადგინოს შპს "მონოლით გრუპ"-ის ინტერესები ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ქალაქ თბილისის მერიასა და მისდამი დაქვემდებარებულ ყველა სტრუქტურაში, არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მიიღოს და წარადგინოს სათანადო დოკუმენტები, ნებართვები, შეათანხმოს და აიღოს სამშენებლო პროექტები, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს დამტკიცებულ პროექტებში კორექტირება, გადაიხადოს გადასახდელები, ხელი მოაწეროს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის, სახელით და შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ამ დავალებების შესრულებასთან.
მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.
მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ქართულ და რუსულ ენებზე, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუსის, ნ.ჯანხოთელის, არქივში, ორი კი გადაეცა მიმნდობს.
მინდობილობის ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B18144828.
გადახდილია სანოტარო საზღაური, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის № 507 დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად, 10,00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 1,80 ლარი, ასევე ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლის თანახმად, 2,00 ლარი, სულ 13,80 ლარი.

მიმნდობი: Абдул Абдулаев

მთარგმნელი:

ნოტარიუსი

ნარგიზა ჯანხოთელი: